ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2020 წლის ---- ---------- ქ. ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა # ------

ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა, თანდართული სახით.
2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. #30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

„დამტკიცებულია“

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის
საკრებულოს განკარგულება
2010 წლის 29 ოქტომბერი №129

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ბათუმის მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმა (GCAP) წარმოადგენს პროექტს, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) გავლით დააფინანსა შვედეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ (SIDA). პროექტზე მუშაობა 2018 წლის აგვისტოდან დაიწყო, გეგმის მომზადებაში ბათუმის მერიას დახმარებას უწევდა EBRD-ის მიერ შერჩეული კონსულტანტი - AECOM Limited. პროექტის მიზანია ურბანული გარემოსდაცვითი საკითხების მხრივ არსებული გამოწვევების იდენტიფიკაცია და მათი გადაწყვეტის შესაძლებლობების ანალიზი, პრიორიტეტიზაცია, ხედვის ჩამოყალიბება და ისეთი პროექტების (აქტივობების) დასახვა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალაქის მწვანე განვითარებას.

გეგმის მომზადების პროცესში დარგობრივი სფეროების მიხედვით ტექნიკური რჩევების გაცემის მიზნით, შეიქმნა საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა მერიის სამსახურებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, ასევე, პროექტის ფარგლებში ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და GCAP-ის დამტკიცებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბოლოო თანხმობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა ქალაქ ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის მმართველი საბჭო, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის, მერის მოადგილეების, საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიების თავმჯდომარეების შემადგენლობით.

გეგმის შემუშავების მიზნით, 2018 წლის ბოლოს და 2019 წლის დასაწყისში მომზადდა პოლიტიკის ჩარჩო ანგარიში და ტექნიკური შეფასების ანგარიში, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე, მრგვალი მაგიდის ფორმატში გაიმართა შეხვედრები კერძო, სამოქალაქო, არასამთავრობო და საჯარო ორგანიზაციებთან მწვანე ქალაქის ყველაზე პრიორიტეტული გამოწვევების შესახებ, სამუშაო ჯგუფის მიერ გარემოსდაცვითი მონაცემების ფართო მიმოხილვაზე დაყრდნობით, მოხდა პრობლემების იდენტიფიცირება და მათი პრიორიტეტიზაცია, ჩამოყალიბდა ხედვა და შემუშავდა პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალაქის მწვანე განვითარებას. აღნიშნულ საფუძველზე კონსულტანტის მიერ მომზადდა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია და 2019 წლის სექტემბერში წარედგინა პასუხისმგებელ მხარეებს და ქალაქ ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის მმართველ საბჭოს, ხოლო, 2019 წლის ნოემბერში საჯაროდ წარედგინა დაინტერესებულ მხარეებს. 2020 წლის დასაწყისში კონსულტანტმა წარმოადგინა სამოქმედო გეგმის (GCAP) პროექტის სრული ვერსია და მისი ქართული თარგმანი. რომელიც

მოწონებულ იქნა ქალაქ ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის მმართველი საბჭოს მიერ, 2020 წლის 13 ივლისის სხდომაზე.

GCAP-ი მოიცავს მიწათსარგებლობის დაგეგმვისა და განვითარების, ნარჩენების მართვის და დაბინძურების, ენერგეტიკის, ურბანული მობილობის, გარემოსდაცვის, შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით არსებულ (გამოვლენილ) გამოწვევებსა და მათი გადაწყვეტის ღონისძიებებს (აქტივობებს), რომლებიც მხოლოდ შემოთავაზებაა და შესაძლოა დასჭირდეს დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა დაფინანსების ან ნორმატიული ნებართვების განხორციელების დაწყებამდე. თითოეული აქტივობა, სადაც საჭიროა, ასახავს საწყის ნაბიჯებს შემდგომი განხორციელებისათვის.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის დამტკიცება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ან/და პარტნიორი ორგანიზაციების ბიუჯეტი.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

GCAP-ის ღონისძიებების მუნიციპალური ბიუჯეტით დამტკიცების შემთხვევაში, მისი განხორციელების ხარჯები გათვალისწინებული იქნება შესაბამისი წლის ბიუჯეტით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი".

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD);

საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია AECOM Limited;

ქალაქ ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი (რომელიც შედგებოდა მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალური ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან);

ქალაქ ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის მმართველი საბჭო;

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები

ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები (მათ შორის მსხვილი სასტუმროების, სამშენებლო სექტორის, სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი"-ს, ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის და ა.შ. წარმომადგენლები);

საჯარო სტრუქტურები: აჭარის ა/რ ფინანსთა და ეონომიკის სამინისტრო, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აჭარის ა/რ ტურიზმის დეპარტამენტი, ბათუმის საზღვაო ნავსადგური, სსიპ ბათუმის ბულვარი.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური პოლიტიკის

სამსახურის უფროსი

ეთერ ლომაძე

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ქალაქ ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის მმართველი საბჭოს

შეხვედრის ოქმი 01

შეხვედრის თარიღი	13.07.2020 10:00 – 11:30
ადგილი	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (ლ. ასათიანის ქ. N25)
საკითხი	შეხვედრის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის მოწონებისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის განსახილველად წარდგენის მიზნით
მონაწილეები	მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის მმართველი საბჭოს წევრები

შეხვედრას ესწრებოდა:

ჯაბა ტუღუში - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე მერი (საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილე)

ლელა სურმანიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (საბჭოს წევრი)

სულიკო თებიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (საბჭოს მოწვეული წევრი)

თამაზ სალუქვაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (საბჭოს მოწვეული წევრი)

ზურაბ ნაკაიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარე (საბჭოს მოწვეული წევრი)

გოჩა მგელაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე (საბჭოს მოწვეული წევრი)

ეთერ ლომაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი (საბჭოს წევრი)

რეფ.	საკითხი
1	მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის შემაჯამებელი განხილვა და ქ. ბათუმის

მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა

მიმდინარე პროექტის მოკლე ანგარიში:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და მის მიერ შერჩეული კონსულტანტის AECOM Limited (AECOM) მხარდაჭერით ამზადებს მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმას (GCAP), რომელიც მიზნად ისახავს ქალაქის გარემოს დაცვასთან და მდგრადობასთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, პრიორიტეტების განსაზღვრას და ინტერვენციის ხერხების განვითარებას. სხვა ქალაქების მსგავსად, რომლებიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მწვანე ქალაქის ჩარჩოს (GrCF) ფარგლებში ამზადებენ GCAP-ს, ქ. ბათუმი იყენებს EBRD-ის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) და ადგილობრივი გარემოსდაცვითი ინიციატივების საერთაშორისო საბჭოსთან (ICLEI) თანამშრომლობით.

1.1 საკონსულტაციო კომპანია AECOM-ის მიერ, გეგმის შემუშავების მიზნით 2018 წელს მომზადდა პოლიტიკის ჩარჩოს ანგარიში და ტექნიკური შეფასების ანგარიში, 2019 წლის თებერვალში ჩატარდა პრიორიტეტიზაციასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან და გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრებთან. 2019 წლის მაისში ჩატარდა მეორე სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა ქმედებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები (მერიის სამსახურების ხელმძღვანელები) ასევე, განისაზღვრა ბათუმის საშუალოვადიანი სტრატეგიული მიზნები და გრძელვადიანი ხედვა, რომლის მიხედვითაც განხორციელდება GCAP-ი.

2019 წლის 02 სექტემბერს პასუხისმგებელ მხარეებთან გაიმართა შეხვედრა, რა დროსაც წარდგენილ და განხილულ იქნა კონსულტანტების მიერ მომზადებული GCAP -ის სამუშაო ვერსია და დაზუსტდა გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები.

საბოლოო სახით მომზადებული სამოქმედო გეგმის სრული ინგლისური ვერსია და ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი 2020 წლის 10 იანვარს წინასწარ გაეგზავნა მრჩეველთა საბჭოს.

საკითხზე დამსწრე საბჭოს თითოეული წევრის მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით არავითარი სახის შენიშვნა არ გაჩნდა და მათ მიერ მოწონებული იქნა აღნიშნული დოკუმენტი.

ლაშა კომახიძე ---------------------------------------

ჯაბა ტუღუში ---------------------------------------

ლელა სურმანიძე ---------------------------------------

სულიკო თებიძე ---------------------------------------

თამარ სალუქვაძე ---------------------------------------

ზურაბ ნაკაიძე ....

გოჩა მჭედლიძე ....

ეთერ ლომაძე ....